შპს ლილო პროგრესი
ვაჟა-ფშაველას გამზ. I კვარტალი, 25 კორპუსი,
ბინა44, თბილისი,0177, საქართველო
+995599945019 liloprogress@gmail.com

04/01/2019#01-01/19

საქართველოს გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის მინისტრის
მოადგილეს, ბატონ გიორგი ხანიშვილს

ბატონო გიორგი,

თქვენი, 2018 წლის 10 დეკემბრის, #10763/01 წერილის პასუხად, რომელიც შეეხებოდა ქალაქ თბილისში, აეროსადგურის (შვეულმფრენების ცენტრის) მშენებლობისა და ექსპლუტციის პროექტის სკრინინიგის განაცხადებაში წარმოდგენილი ინფორმაციის ტექნიკური დეტალების დაზუსტებას, გაცნობებთ, შემდეგს:

1. სანიაღვრე და საკანალიზაციო წყლების მართვასთან დაკავშირებული საკითხების დეტალურად განსაზღვრა მოხდება, განაშენიანების რეგულირების გეგმის (გრგ) საბოლოოდ შეთანხმდებისა და წყალმომრაგება-წყალარინების პროექტების დამუშავების შემდგომ. პროექტის კონცეფციის დონეზე, შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ მოეწყობა წყალარინების ავტონომიური სისტემა, ვინაიდან საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ ქალაქ თბილისის წყალარინების სისტემის მაგისტრალები არ გადის. კერძოდ, მოეწყობა საასენიზაციო ორმო, საიდანაც საკანალიზაციო წყლების ამოღება მოხდება საასენიზაციო ტექნიკის საშუალებით. საასენიზაციო ორმოდან ამოღებული საკანალიზაციო წყლების ჩაშვება გათვალისწინებულია ქ. თბილისის საკანალიზაციო სისტემაში, სისტემის ოპერატორ კომპანიასთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.
2. აეროსადგურის (შვეულმფრენების ცენტრის) მშენებლობისა და ექსპლუტციის პროექტი, შვეულფრენების საწვავით გამართვის მიზნით, ნავთობპროდუქტების საცავი ავზების მოწყობას არ ითვალისწინებს;
3. მანძილები საპროექტო მოედნიდან უხლოეს დასახლებულ პუნქტამდე და სამხრეთ-დასავლეთით არსებულ ინფრასტრუქტურამდე მითითებულია წერილის დანართში;
4. შპს „ტავურბან ჯორჯია“-ს და სსიპ სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს პოზიციები დაგეგმილ პროექტთან დაკავშირებით თანდართულია წერილზე (შპს „ტავურბან ჯორჯია“-ს წერილი #TAV.GM.4917; 28/05/2018 და სსიპ სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს წერილი#05/2456 30.10.2018).

პატივისცემით,

ალექსანდრე კართხია

შპს „ლილო პროგრესი''-ს დირექტორი

№ 73
"04" 01 2019
1/3

შვეულმფრენების ცენტრის განაშენიანების რეგულირების გეგმის
გეგმარებითი დავალება

დაშორება უახლოესი დასახლებული პუნქტიდან.

დაშორება საპროექტო ტერიტორიის სამხრეთ დასავლეთით არსებული ინფრასტრუქტურიდან



TAV
Georgia

თარიღი : 28 / 05 / 2018
ნომერი : TAV.GM.4917

შპს „ლილო პროგრესი"-ს დირექტორს

ბატონ ალექსანდრე კართხიას
ტელ: 599 94 50 19

ბატონო ალექსანდრე,

თქვენი 2018 წლის 21 მაისის განცხადების და მასზე თანდართული მასალის პასუხად, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სოფელი დიდი ლილოს ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ, კოდი: 81.08.07.534) ვერტოდრომის, შვეულმფრენების მომსახურების ადმინისტრაციული და დამხმარე შენობა-ნაგებობების მშენებლობის საკითხს, ჩვენი კომპეტენციის ფარგლებში გაცნობებთ, რომ აღნიშნული მიწის ნაკვეთი მდებარეობს თბილისის საერთაშორისო აეროპორტის დაბრკოლებებისგან შემზღუდველი კონუსური ზედაპირის გავრცელების ფარგლებში და მასზე დასაშვებია ისეთი ობიექტების განთავსება რომელთა სიმაღლე მიწის დონიდან არ აღემატება +15 მეტრს (საშუალო ზღვის დონიდან +729.5 მეტრს).

აქვე გაცნობებთ, რომ აღნიშნულ მშენებლობასთან დაკავშირებით, ასევე აუცილებელია გაითვა-ლისწინოთ სსიპ სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს, შპს „აეროპორტების გაერთიანების" და შპს „საქაერონავიგაცია"-ს პოზიცია.

პატივისცემით,

ქ.მეთე ბოქალი
გენერალური მენეჯერი

თეა ზაქარაძე
გენერალური მენეჯერის მოადგილე

ZG

**TAV Urban Georgia LLC**
Tbilisi International Airport
0158 Tbilisi, Georgia
T: (+995 32) 2 310 265
F: (+995 32) 2 310 322
www.tbilisiairport.com

საჯარო სამართლის იურიდიული პირი

**სამოქალაქო ავიაციის სააგენტო**

Legal Entity of Public Law

**CIVIL AVIATION AGENCY**

*საქართველო*
*GEORGIA*

0158, თბილისი, აეროპორტი
Airport, Tbilisi, GEO 0158
ფაქსი/ Tel: (+995 32) 2 948 014/002
ფაქსი/Fax: (+995 32) 2 948 014/002
ელ.ფოსტა/e-mail: office@gcaa.ge
www.gcaa.ge

№05/2456 „30" 10 2018წ.

შპს ლილო პროგრესის დირექტორის

ბ-ნ ალექსანდრე კართხიას

ბატონო ალექსანდრე,

თქვენი, მიმდინარე წლის 23 ოქტომბრის განცხადებაზე (სააგენტოში რეგ.№3566/01), პასუხად გაცნობებთ, რომ სააგენტო მიესალმება შვეულმფრენების ცენტრის განვითარებას და ვერტოდრომის მოწყობას თქვენს მიერ წინასწარ განსაზღვრულ ადგილზე (ს/კ 81.08.07.534). როგორც თქვენს წერილში აღნიშნავთ, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს თბილისის საერთაშორისო აეროპორტის აეროდრომის დაცვის არეში, სადაც, საქართველოს მოქმედი კანონის - საჰაერო კოდექსის 41-ე მუხლის თანახმად, მშენებლობა უნდა შეათანხმოთ აეროდრომის ექსპლუატანტთან - ამ შემთხვევაში შპს „ტავ ურბან საქართველოსთან".

ასევე გაცნობებთ, რომ ვერტოდრომის პროექტირებისა და ექსპლუატაციის პროცესში იხელმძღვანელოთ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 16 თებერვლის №87 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის - „სამოქალაქო ავიაციის აეროდრომების/ვერტოდრომების პროექტირებისა და ექსპლუატაციის ძირითადი პირობების" მოთხოვნებით და ვერტოდრომიდან ფრენების განხორციელებამდე შესაბამისი კონსულტაციები აწარმოოთ შპს „საქაერონავიგაციასთან".

პატივისცემით,

დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ალექსანდრე გაჩეჩილაძე

GCAA